

საქართველოს კანონი

ვაზისა და ღვინის შესახებ

ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის, განვითარებას, ვაზის მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი, ქართული ჯიშების, მეღვინეობის ქართული, ტრადიციული მეთოდების გავრცელებასა და პოპულარიზაციას, მაღალხარისხოვანი ყურძნის, ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, საქართველოში ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის საერთაშორისო რეპუტაციის შენარჩუნებასა და ზრდას.

საქართველოს 1998 წლის 30 სექტემბრის კანონი №1604-სსმI, №2, 26.10.1998წ., მუხ.17

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი ვრცელდება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელთა სამეწარმეო საქმიანობა მოიცავს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში პროდუქციის, მათ შორის, ვაზის სამყნობი მასალის, ვაზის სარგავი მასალის, ყურძნის, ყურძნის ტკბილის, დურდოს, მადუდარი ტკბილის, მაჭრის, კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის, რექტიფიცირებული კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის, ღვინის, ყურძნისეული წარმოშობის სპირტის ან/და სპირტიანი სასმელის, წარმოებას, შენახვას, რეალიზაციას, ექსპორტსა და იმპორტს.

2. ეს კანონი განსაზღვრავს ვაზის სამყნობი მასალის, ვაზის სარგავი მასალის, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და სპირტის სერტიფიცირების სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი II. ტერმინების განმარტება

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აისვაინი – ღვინო, რომელიც მიიღება ვაზზე ბუნებრივად გაყინული ყურძნის გამოწურვით მიღებული ყურძნის ტკბილის არასრული დადუღებით;

ბ) არომატიზებული ღვინო – ღვინო, რომელიც მიიღება ღვინოში მცენარის/მცენარეთა სპირტიანი ექსტრაქტის, სხვა ბუნებრივი არომატიზატორის, ეთილის სპირტის, კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის ან/და შაქრის შერევით;

გ) ბრენდი – ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელი, რომელიც მიიღება არანაკლებ ექვსთვიანი დავარგების ღვინის დისტილატისგან;

დ) ბუნებრივად ნახევრად მშრალი ღვინო, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინო, ბუნებრივად ტკბილი ღვინო – ღვინო, რომელიც მიიღება ყურძნის ტკბილის ან დურდოს არასრული დადუღებით;

ე) ბუნებრივი სპირტშემცველობა – ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი რაოდენობა პროდუქტის 100 მოცულობით ერთეულში 20⁰C ტემპერატურაზე გამდიდრებამდე (ყურძნის ტკბილის, კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის, საქართვას ან ეთილის სპირტის დამატებამდე);

ვ) გადამწიფებული ყურძნის ღვინო – ღვინო, რომელიც მიიღება გადამწიფებული ყურძნის ტკბილის ან დურდოს სრული ან ნაწილობრივი ალკოჰოლური დუღილის შედეგად და რომლის საერთო სპირტშემცველობა და ბუნებრივი სპირტშემცველობა 15%-ს აღემატება, ხოლო ფაქტობრივი სპირტშემცველობა 12%-ზე ნაკლები არ არის;

ზ) დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო – ღვინო, რომელიც წარმოებულია (ყურძნი



მოყვანილი და გადამუშავებულია, ღვინო დამზადებულია) ვიტის ვინიფერას სახეობაში შემავალი ვაზის ჯიშებისგან მევენახეობის ზონაში, მევენახეობის ქვეზონაში, მევენახეობის მიკროზონაში ან მათ გაერთიანებულ ნაწილში (შემდგომ – გეოგრაფიული ადგილი), რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან მირითადად განპირობებულია ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორებით, რომლის საწარმოებლად გამოიყენება მხოლოდ აღნიშნულ გეოგრაფიულ ადგილზე მოყვანილი ყურძენი, რომელსაც მინიჭებული აქვს იმავე გეოგრაფიული ადგილის სახელი და რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში;

თ) დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელი – ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელი, რომელიც წარმოებულია მევენახეობის ზონაში, მევენახეობის ქვეზონაში ან მევენახეობის მიკროზონაში, რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან მირითადად განპირობებულია ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორებით, რომელსაც მინიჭებული აქვს აღნიშნული გეოგრაფიული ადგილის სახელი და რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში;

ი) დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინო – ღვინო, რომელიც წარმოებულია ვიტის ვინიფერას სახეობაში შემავალი ვაზის ჯიშებისგან იმ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში, რომელიც განაპირობებს მის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციას ან სხვა მახასიათებელს, რომლის საწარმოებლად აუცილებელი ყურძნის არანაკლებ 85%-ისა მოყვანილია ამ გეოგრაფიულ ადგილზე, რომელსაც მინიჭებული აქვს აღნიშნული გეოგრაფიული ადგილის სახელი და რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში;

კ) დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელი – ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელი, რომელიც წარმოებულია იმ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში, რომელიც განაპირობებს მის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციას ან სხვა მახასიათებელს, რომლის საწარმოებლად აუცილებელი ყურძნის არანაკლებ 85%-ისა მოყვანილია ამ გეოგრაფიულ ადგილზე, რომელსაც მინიჭებული აქვს აღნიშნული გეოგრაფიული ადგილის სახელი და რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში;

ლ) დისტილატის დავარგება – მუხის კასრში ან მუხის მერქანტან შეხებით ღვინის დისტილატის ან ჭაჭის დისტილატის ხარისხის გაუმჯობესების პროცესი;

მ) დურდო – დაჭყლეტილი ყურძნის მასა კლერტიანად ან უკლერტოდ;

ნ) ეტიკეტი – ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, დასახელება, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშანი, ილუსტრაცია, გრაფიკული გამოსახულება, სიმბოლო, რომელიც დაბეჭდილია, ამოტვიფრულია ან სხვაგვარადაა გამოსახული ღვინის ან სპირტიანი სასმელის ჭურჭელზე ან/და შეფუთვაზე ან თანდართულ დოკუმენტზე;

ო) ვაზის გენეტიკური რესურსები – ვაზის ადგილობრივი ჯიშები, ვაზის ინტროდუცირებული ჯიშები და ვაზის ველური ფორმები;

პ) ვაზის რქა – ვაზის ერთწლიანი რქის ნაწილი, რომელიც გამოიყენება დასაფესვიანებლად ან საკვირტე (სანამყენე) მასალის დასამზადებლად;

ჟ) ვენახი – მიწის ნაკვეთი ვაზის ნარგაობით;

რ) ვიტის ვინიფერა (Vitis vinifera) – ვაზისებრთა ოჯახის (Vitaceae) ვაზის გვარში (Vitis) შემავალი სახეობა, რომელიც მოიცავს ევროაზიური ვაზის კულტურულ ჯიშებს (Vitis vinifera L. Ssp sativa DC) და ველურ ვაზს (Vitis vinifera L. Ssp silvestris (Gmelin) Hegi);

ს) ინსპექტირება – პროცედურა, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს სერტიფიცირებისათვის წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმელის ან სპირტის ნიმუშის ლოტთან შესაბამისობის დასადგენად;

ტ) კლონური სელექცია – ვაზის ჯიშის გენეტიკური გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა, როდესაც ბუნებრივი მუტაციის შედეგად წარმოშობილი ვაზის სახესხვაობები სპეციალური ნიშნების მიხედვით შეირჩევა;

უ) კონცენტრირებული ყურძნის ტკბილი – არაკარამელიზებული ყურძნის ტკბილი, რომელშიც ნაწილობრივი დეპიდრატაციით შაქრის კონცენტრაცია არანაკლებ 58,2%-მდეა გაზრდილი, ხოლო სპირტშემცველობა 1%-ს არ აღემატება;

ფ) ლიქიორული ღვინო – ღვინო, რომელიც მიიღება ყურძნის ტკბილზე, დურდოზე, მადუღარ ტკბილზე, მადუღარ დურდოზე ან ღვინოზე ყურძნისეული წარმოშობის სპირტის ან/და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის დამატებით და რომლის ფაქტორივი სპირტშემცველობა 15%-დან 24%-მდეა;

ქ) ლოტი – ღვინის კომპანიის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში ერთი და იმავე ტიპის სამომბარებლო ტარაში დაფასოებული ან სატრანსპორტო ჭურჭელში მოთავსებული ერთგვაროვანი პროდუქციის პარტია;

ღ) ლოტის ნომერი – უნიკალური ნომერი, რომელიც ლოტის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

ყ) მადუღარი ტკბილი – ყურძნის ტკბილი, რომელშიც დაწყებულია ალკოჰოლური დუღილი და რომლის სპირტშემცველობა 1%-ს აღემატება;

შ) მაჭარი – ახალგაზრდა ღვინო, რომელშიც დუღილი დამთავრებული არ არის;

ჩ) მევენახეობის ზონა – საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, სადაც ვაზის კულტურის გასაშენებლად ხელსაყრელი აგროეკოლოგიური პირობებია;

ც) მევენახეობის მიკროზონა – მევენახეობის ქვეზონის ნაწილი, რომელიც მევენახეობის სხვა მიკროზონებისგან აგროეკოლოგიური პირობებით განსხვავდება;

ძ) მევენახეობის ქვეზონა – მევენახეობის ზონის ნაწილი, რომელიც მევენახეობის იმავე ზონის სხვა



ქვეზონებისგან აგროეკოლოგიური პირობებით განსხვავდება;

წ) მისტელი – პროდუქტი, რომელიც მიიღება ყურძნის ტკბილზე სპირტის დამატებით და რომლის ფაქტობრივი სპირტშემცველობა 15%-დან 22%-მდეა;

ჭ) მსუბუქად ცქრიალა ღვინო – ღვინო, რომელშიც ჭარბი წნევა 20°C ტემპერატურაზე 1 ბარზე მეტია და 2,5 ბარზე ნაკლებია;

ხ) მცირე ზომის მარანი – ღვინის საწარმო, რომლის წლიური წარმადობა 40 000 ლიტრ ღვინოს არ აღემატება;

ჯ) მხედველობის ერთი არე – დაფასოებული ალკოჰოლიანი სასმელის ჭურჭლის ან/და შეფუთვის ზედაპირის ნაწილი (გარდა ძირისა), რომლის დანახვა შესაძლებელია ჭურჭლის ან/და შეფუთვის შემობრუნების გარეშე;

ჰ) ნამყენი ნერგი – ვაზის ნერგი, რომელიც მიღებულია საძირეზე სანამყენე კვირტის დამყნობისა და დაფესვიანების შედეგად და ვენახის გასაშენებლად გამოიყენება;

ჸ¹) ნებადართული ვაზის ჯიში – საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოსაყენებლად ნებადართული ვაზის ჯიში;

ჸ²) ნეიტრალური სპირტი – ეთილის სპირტი, რომელიც მიიღება ყურძნისეული ან სხვა წარმოშობის ნედლეულის გამოხდით და რომლის სპირტშემცველობა 95%-ს აღემატება;

ჸ³) პოტენციური სპირტშემცველობა – სუფთა სპირტის მოცულობითი რაოდენობა პროდუქტის 100 მოცულობით ერთეულში 20°C ტემპერატურაზე, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას პროდუქტში არსებული შაქრის მთლიანად დადუღებით;

ჸ⁴) რეკომენდებული ვაზის ჯიში – საქართველოში მევენახეობის თითოეული ზონისათვის და მევენახეობის თითოეული ქვეზონისათვის აპრობირებული ვაზის ჯიში, რომლის გამოყენებაც რეკომენდებულია მაღალხარისხოვანი პროდუქციის საწარმოებლად;

ჸ⁵) რექტიფიცირებული კონცენტრირებული ყურძნის ტკბილი – კონცენტრირებული ყურძნის ტკბილი, რომელშიც მჟავიანობა და სხვა ნივთიერებების შემცველობა შემცირებულია მეღვინეობის პრაქტიკაში ნებადართული ოპერაციების და ნივთიერებების გამოყენებით და რომელშიც შაქრის კონცენტრაცია 82%-ზე ნაკლები არ არის, ხოლო სპირტშემცველობა 1%-ს არ აღემატება;

ჸ⁶) საბაზისო მასალა – კლონური სელექციით მიღებული ვაზის უვირუსო სამყნობი და სარგავი მასალა, რომლის ჯიშური სიწმინდისა და სანიტარიული სისუფთავისთვის პასუხისმგებელია მასალის სელექციონერი-მწარმოებელი;

ჸ⁷) სადესერტო ღვინო – ღვინო, რომელიც მიიღება ყურძნის ტკბილზე, დურდოზე, მაღუღარ ტკბილზე, მაღუღარ დურდოზე ან ღვინოზე სპირტის ან/და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის დამატებით და რომლის სპირტშემცველობა 12%-დან 17%-მდეა;

ჸ⁸) საერთო სპირტშემცველობა – ფაქტობრივი სპირტშემცველობისა და პოტენციური სპირტშემცველობის ჯამი;

ჸ⁹) საკუთარფესვიანი ნერგი – ვაზის ნერგი, რომელიც მიღებულია ვაზის ერთწლიანი რქის დაფესვიანებით;

ჸ¹⁰) სამეწარმეო ვენახი – ვენახი, რომელში მოყვანილი ყურძენი ან სამყნობი მასალა ძირითადად სამეწარმეო მიზნით გამოიყენება;

ჸ¹¹) სამომხმარებლო ტარა – ტარა, რომელშიც დაფასოებულია ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტი მომხმარებლისთვის მისაწოდებლად;

ჸ¹²) სამოყვარულო ვენახი – ვენახი, რომელში მოყვანილი ყურძენი სამეწარმეო მიზნით არ გამოიყენება;

ჸ¹³) სანამყენეთა სადედე – ვაზის ნარგაობა, რომელიც განკუთვნილია ვაზის გასამრავლებელი სანამყენე მასალის მისაღებად;

ჸ¹⁴) საფუვრის აპკის ქვეშ დავარებული ღვინო – ღვინო, რომლის ძირითადი თვისებები განპირობებულია ალკოჰოლური დუღილის შემდეგ მის ზედაპირზე განვითარებული საფუვრის აპკზე დავარგებით;

ჸ¹⁵) საქპატენტი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“;

ჸ¹⁶) საძირე – ფილოქსერაგამძლე ვაზის რქა, რომელიც განკუთვნილია მყნობისთვის;

ჸ¹⁷) საძირეთა სადედე – ფილოქსერაგამძლე სახეობათა ჰიბრიდული ვაზის ჯიშის/ჯიშების ნარგაობა, რომელიც განკუთვნილია ვაზის გასამრავლებელი საძირე მასალის მისაღებად;

ჸ¹⁸) სახელმწიფო კონტროლი – პროცედურა, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის წარმოების სფეროში მეწარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;

ჸ¹⁹) სახელმწიფო ზედამხედველობა – პროცედურა, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტის, ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოების სფეროში მეწარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;



3) სახლის ღვინო - ღვინო, რომელიც დამზადებულია მცირე ზომის მარანში;

3²¹) სერტიფიცირება – პროცედურა, რომელიც ხორციელდება იდენტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტის, ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;

3²²) სერტიფიცირებული მასალა – საბაზისო მასალის გამრავლებით მიღებული ვაზის უვირუსო სამყნობი და სარგავი მასალა, რომელშიც გარანტირებულია ვაზის იდენტურობა, ჯიშური სიწმინდე და სისუფთავე ძირითადი ვირუსებისა და დავადებებისგან;

3²³) სპეციალური დანიშნულების ვენახი – ვენახი, რომელიც გაშენებულია სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, სადემონსტრაციო, საკოლექციო, სასელექციო ან/და ჯიშთა გამოცდის მიზნით;

3²⁴) სპეციალური ღვინო – ღვინო, რომლის დასამზადებლად გამოყენებულია სპეციალური მეთოდები ან/და ტექნოლოგია, რაც ამ ღვინის გამორჩეულ თვისებებს განაპირობებს;

3²⁵) სპირტშემცველობა – ფაქტობრივი სპირტშემცველობა;

3²⁶) სტანდარტული მასალა – არასელექციური ან მასობრივი სელექციით მიღებული ვაზის სამყნობი მასალა/ვაზის სარგავი მასალა, რომელშიც დაცულია ვაზის იდენტურობა და ჯიშური სიწმინდე;

3²⁷) ფაქტობრივი სპირტშემცველობა – ეთილის სპირტის მოცულობითი რაოდენობა პროდუქტის 100 მოცულობით ერთეულში 20°C ტემპერატურაზე;

3²⁸) ქვევრის ღვინო – ღვინო, რომელიც დადუღებული და დავარგებულია ქვევრში არანაკლებ მისი დაწურვის წლის 31 დეკემბრამდე, სრულ ან ნაწილობრივ ჭაჭაზე;

3²⁹) ქიშმიში – მწიფე ყურძნის დეპიდრატაციით მიღებული პროდუქტი, რომელიც გამოიყენება საკვებად და რომლის დაწურვა მეღვინეობის პრაქტიკაში მიღებული ჩვეულებრივი მეთოდებით ან/და სპონტანური დადუღება შეუძლებელია;

3³⁰) ღვინის დისტილატი – ღვინის ფრაქციონირებული ან პირდაპირი გამოხდით მიღებული სპირტი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ღვინის ნახადისთვის დამახასიათებელი არომატი და გემო;

3³¹) ღვინის კომპანია – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომლის სამეცნიერო საქმიანობა უკავშირდება ღვინის, ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის, სპირტის ან/და ვაზის სამყნობი მასალის/ვაზის სარგავი მასალის წარმოებას ან/და რეალიზაციას;

3³²) ღვინო – ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელი, რომელიც მიიღება მხოლოდ ყურძნის, ყურძნის ტკბილის ან დურდოს სრული ან ნაწილობრივი ალკოჰოლური დუღილის შედეგად;

3³³) ყურძენი – ვაზის მწიფე ნაყოფი;

3³⁴) ყურძნის ტკბილი – ყურძნის დაწურვით მიღებული თხევადი პროდუქტი;

3³⁵) ყურძნის წვენი – ყურძნის ტკბილისგან ან კონცენტრირებული ყურძნის ტკბილისგან მიღებული თხევადი პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის და რომლის სპირტშემცველობა 1%-ს არ აღემატება;

3³⁶) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელი (ალკოჰოლიანი სასმელი) – ღვინო და სპირტიანი სასმელი;

3³⁷) ყურძნისეული წარმოშობის სპირტი (სპირტი) – ღვინის, ლექის, გამოწეხილი ან გამოუწეხავი დურდოს გამოხდით მიღებული ყურძნისეული წარმოშობის სპირტი;

3³⁸) ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელი (სპირტიანი სასმელი) – ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელი: ბრენდი, ჭაჭის არაყი, მაგარი სასმელი;

3³⁹) შაქრიანობა – აღმდგენი შაქრების მასური კონცენტრაცია;

3⁴⁰) შემაგრებული ღვინო – ლიქიორული ღვინო, რომელიც მიიღება მადუღარ დურდოზე ან მადუღარ ყურძნის ტკბილზე სპირტის დამატებით;

3⁴¹) შემჭინარი ყურძნის ღვინო – ღვინო, რომელიც მიიღება შემჭინარი ყურძნის, ყურძნის ტკბილის ან დურდოს სრული ან ნაწილობრივი ალკოჰოლური დუღილის შედეგად და რომლის საერთო სპირტშემცველობა და ბუნებრივი სპირტშემცველობა 16%-ს აღემატება, ხოლო სპირტშემცველობა 9%-ზე ნაკლები არ არის;

3⁴²) შესაბამისობის დეკლარაცია – ღვინის კომპანიის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც დეკლარირებულია ალკოჰოლიანი სასმელის ან/და სპირტის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;

3⁴³) შესაბამისობის სერტიფიკატი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ იდენტიფიცირებული პროდუქტია შესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მის მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებს;

3⁴⁴) შეტყობინება – დადგენილი წესით ღვინის კომპანიის მიერ წარდგენილი შეტყობინება, რომელიც მოიცავს მევენახობა-მეღვინეობის პრაქტიკაში სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქტის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

3⁴⁵) შუშხუნა ღვინო – ნახშირბადის დიოქსიდით ხელოვნურად გაჯერებული ღვინო, რომელშიც ჭარბი წნევა 20°C ტემპერატურაზე 2,5 ბარზე ნაკლები არ არის;



3⁴⁶) ცერიალა ღვინო – ნახშირბადის დიოქსიდით გაჯერებული ღვინო, რომელიც მიიღება დახურულ ჭურჭელში ყურძნის ტკბილის ან ღვინის პირველადი დუღილის ან ღვინის მეორეული დუღილის შედეგად და რომელშიც ჭარბი წნევა 20⁰C ტემპერატურაზე 3 ბარზე ნაკლები არ არის;

3⁴⁷) წარმოების სპეციფიკაცია – საქპატენტში რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც აღწერს დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინის ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის ძირითად მახასიათებლებს, მათ შორის, ფიზიკურ, ქიმიურ და ორგანოლეპტიკურ თვისებებს, აგრეთვე პროდუქტის განსაკუთრებული ხარისხის, თვისების ან რეპუტაციის გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივ გარემოსთან და ადამიანის ფაქტორთან კავშირს, წარმოების წესს და სხვა მახასიათებლებს;

3⁴⁸) წარმოშობის სერტიფიკატი – ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის წარმოშობის ქვეყანას;

3⁴⁹) ჭაჭის არაყი – ყურძნისული წარმოშობის სპირტიანი სასმელი, რომელიც მიიღება ჭაჭის დისტილატისგან და რომლის სპირტშემცველობა 40%-ზე ნაკლები არ არის;

3⁵⁰) ჭაჭის დისტილატი – გამოწენებილი ან გამოუწენებავი დურდოს ფრაქციონირებული ან პირდაპირი გამოხდით მიღებული სპირტი, რომელიც გამოხდილია არაუმეტეს 86% სპირტშემცველობით და რომელსაც შენარჩუნებული აქვს ჭაჭის ნახადისთვის დამახასიათებელი არომატი და გემო.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი №192-სსმI, №17, 28.07.2008წ., მუხ.121

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი II¹. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობის მარეგულირებელი ორგანო

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

მუხლი 3¹. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო

1. მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – სააგენტო).

2. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

3. სააგენტოს სტრუქტურა, ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

4. სააგენტოს აქვს სიმბოლიკა, ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია სააგენტოს სახელწოდება, დამოუკიდებელი ბალანსი, ქონება, შესაბამისი საბანკო ანგარიშები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, გრანტები, მომსახურების გაწევით მიღებული სახსრები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 3². სააგენტოს უფლებამოსილებანი

1. სააგენტო საქმიანობას წარმართავს ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარენორმატიული აქტების, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და სააგენტოს დებულების საფუძველზე.

2. სააგენტოს ძირითადი უფლებამოსილებებია:

ა) დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის წარმოების სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

ბ) საქართველოში წარმოებული აღკომოლიანი სასმელის, სპირტის, ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება;

გ) ღვინის კომპანიაში აღკომოლიანი სასმელისა და სპირტის მოძრაობისა და ნაშთების აღრიცხვა;

დ) საქართველოში წარმოებული, შიდა და გარე ბაზრებისთვის განკუთვნილი, აგრეთვე საქართველოში იმპორტირებული აღკომოლიანი სასმელისა და სპირტის სერტიფიცირება;

ე) საქართველოში არსებული ვენახების ერთიანი კადასტრის შექმნის ორგანიზება და ხელშეწყობა;

ვ) მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, შესაბამისი სახელმწიფო ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელება;

ზ) მევენახეობა-მეღვინეობის დარგთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან



ურთიერთობა:

თ) ქართული ვაზისა და ღვინის კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამის ღონისძიებათა ხელშეწყობა.

3. სააგენტო სახელმწიფო კონტროლსა და სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 3³. სააგენტოს მართვა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

2. სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილებანი განისაზღვრება სააგენტოს დებულებით.

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი III. ვაზის გენეტიკური რესურსები და მათი დაცვა. ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 4. ვაზის გენეტიკური რესურსები და მათი დაცვა

1. ვაზის გენეტიკური რესურსები, მათ შორის, ვაზის ადგილობრივი ჯიშების გენოფონდი და ვაზის ველური ფორმები, არის ეროვნული სიმდიდრე, რომელსაც სახელმწიფო იცავს.

2. ვაზის გენეტიკური რესურსების გამოვლენას, კვლევას, შესწავლასა და კონსერვაციას აფინანსებს სახელმწიფო.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 5. სამეწარმეო ვაზის ჯიშის კატეგორიები

1. სამეწარმეო ვაზის ჯიში არის ნებადართული ვაზის ჯიში ან/და რეკომენდებული ვაზის ჯიში.

2. დანიშნულების მიხედვით სამეწარმეო ვაზის ჯიშის კატეგორიებია:

ა) საღვინე ვაზის ჯიში;

ბ) სასუფრე ვაზის ჯიში;

გ) საქიშმიშე ვაზის ჯიში;

დ) ფილოქსერაგამდლე საძირე ვაზის ჯიში.

3. ღვინის წარმოებისათვის ნებადართული ვაზის ჯიშებისა და რეკომენდებული ვაზის ჯიშების ჩამონათვალი მოიცავს მხოლოდ ვიტის ვინიფერას (Vitis vinifera) სახეობის ჯიშებს.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 6. (ამოღებულია)

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

მუხლი 7. საქართველოს მევენახეობის ზონები და მევენახეობის ქვეზონები

1. ამ კანონით დადგენილია საქართველოს მევენახეობის შემდეგი ზონები და მევენახეობის შესაბამისი ქვეზონები:

ა) კახეთი (ქვეზონები: შიდა კახეთი, გარე კახეთი);

ბ) ქართლი (ქვეზონები: ქვემო ქართლი, შიდა ქართლი);

გ) მესხეთი;

დ) იმერეთი (ქვეზონები: ზემო იმერეთი, შუა იმერეთი, ქვემო იმერეთი);

ე) რაჭა;

ვ) ლეჩხუმი;

ზ) გურია;

თ) სამეგრელო;

ი) აფხაზეთი;

კ) აჭარა.

2. საქართველოს მევენახეობის ზონებისა და მევენახეობის ქვეზონების საზღვრებს, ნებადართული ვაზის ჯიშების, აგრეთვე ამ ზონებისა და ქვეზონების მიხედვით რეკომენდებული ვაზის ჯიშების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.



თავი IV. ვაზის სარგავი მასალის წარმოება

მუხლი 8. ვაზის სამყნბი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის კატეგორიები

1. ვაზის სამყნბი მასალის კატეგორიებია:
 - ა) საბაზისო მასალა;
 - ბ) სერტიფიცირებული მასალა;
 - გ) სტანდარტული მასალა.
2. ვაზის სარგავი მასალის კატეგორიებია:
 - ა) საკუთარფესვიანი ნერგი;
 - ბ) ნამყენი ნერგი.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 8¹. ვაზის სამყნბი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოება

1. ვაზის სერტიფიცირებული ნერგის საწარმოებლად გამოსაყენებელი მასალა მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ სერტიფიცირებული საბაზისო საძირეთა სადედისგან და სერტიფიცირებული საბაზისო სანამყენეთა სადედისგან.

2. ვაზის სამყნბი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოების სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება საბაზისო საძირეთა სადედეზე და საბაზისო სანამყენეთა სადედეზე, ვაზის ნერგის წარმოების ყველა ეტაპზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 9. ვაზის სამყნბი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის სერტიფიცირება

ვაზის სამყნბი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის სერტიფიცირება ნებაყოფლობითა და მას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი V. ვენახის გაშენებისა და მოვლის პირობები

მუხლი 10. ვენახის კატეგორიები

დანიშნულების მიხედვით ვენახის კატეგორიებია:

- ა) სამოყვარულო ვენახი;
- ბ) სპეციალური დანიშნულების ვენახი;
- გ) სამეწარმეო ვენახი.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 11. სამეწარმეო ვენახი

1. სამეწარმეო ვენახის გასაშენებლად დასაშენებია მხოლოდ ნებადართული ვაზის ჯიშის გამოყენება.

2. სამეწარმეო ვენახის გაშენება დასაშვებია მხოლოდ:

- ა) ნამყენი ნერგით – ყურძნის მოყვანის მიზნით;
- ბ) საკუთარფესვიანი ნერგით – საძირეთა სადედის გაშენების მიზნით.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 12. სამოყვარულო ვენახი და სპეციალური დანიშნულების ვენახი

1. სამოყვარულო ვენახსა და სპეციალური დანიშნულების ვენახში დასაშვებია ნებისმიერი ჯიშის ვაზის ან/და ნებისმიერი სახეობის ვაზის გაშენება.

2. საკუთარფესვიანი ნერგი ან დაუფესვიანებელი ვაზის რქა გამოიყენება მხოლოდ საძირეთა სადედის გასაშენებლად ან სამეცნიერო მიზნით.

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 13. (ამოღებულია)



საქართველოს 2002 წლის 4 ივნისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

**თავი VI. ღვინის კლასიფიკაცია. მეღვინეობის პრაქტიკაში ნებადართული და აკრძალული ოპერაციები
საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.**

მუხლი 14. ღვინის კატეგორიები

1. წარმოშობის ადგილის მიხედვით ღვინის კატეგორიებია:

- ა) დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო;
- ბ) დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინო.

2. დამზადების მეთოდის მიხედვით სპეციალური ღვინის კატეგორიებია:

- ა) ცქრიალა ღვინო;
- ბ) მსუბუქად ცქრიალა ღვინო;
- გ) შუშხუნა ღვინო;
- დ) ქვევრის ღვინო;
- ე) ლიქიორული ღვინო (მათ შორის, შემაგრებული ღვინო და სხვა ლიქიორული ღვინო);
- ვ) სადესერტო ღვინო;
- ზ) საფუვრის აპკის ქვეშ დავარგებული ღვინო;
- თ) შემჭვნარი ყურძნის ღვინო;
- ი) აისვაინი;
- კ) არომატიზებული ღვინო;
- ლ) სახლის ღვინო.

3. ფერის მიხედვით ღვინის კატეგორიებია:

- ა) თეთრი;
- ბ) ქარვისფერი;
- გ) ვარდისფერი;
- დ) წითელი.

4. შაქრიანობის მიხედვით ღვინის (გარდა ცქრიალა ღვინისა) კატეგორიებია:

- ა) მშრალი;
- ბ) ნახევრად მშრალი;
- გ) ნახევრად ტკბილი;
- დ) ტკბილი.

5. შაქრიანობის მიხედვით ცქრიალა ღვინის კატეგორიებია:

- ა) ექსტრა ბრიუტი;
- ბ) ბრიუტი;
- გ) ექსტრა მშრალი;
- დ) მშრალი;
- ე) ნახევრად მშრალი;
- ვ) ნახევრად ტკბილი;
- ზ) ტკბილი.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ღვინოების წარმოების ზოგად წესს და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს 2002 წლის 4 ივნისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 15. მეღვინეობის პრაქტიკაში ნებადართული და აკრძალული ოპერაციები

1. მეღვინეობის პრაქტიკაში აკრძალულია:

- ა) ღვინის წარმოება გამოწენებილი დურდოსგან, ლექისგან ან/და ქიშმიშისგან;
- ბ) ყურძნის წვენის, კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის, რექტიფიცირებული კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის დადუღება ალკოჰოლიანი სასმელის წარმოების მიზნით. ეს აკრძალვა არ ეხება ყურძნის ტკბილში, დურდოში, მადუღარ ტკბილში, მადუღარ დურდოში ან ღვინოში კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის ან რექტიფიცირებული კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის დამატების ოპერაციას;

გ) ღვინის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე წყლის დამატება;

დ) ღვინის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ღვინოში ნებისმიერი წარმოშობის სპირტის დამატება (გარდა ლიქიორული ღვინისა, არომატიზებული ღვინისა ან/და ნახშირორჟანგის შემცველი ღვინის საწარმოებლად გამოყენებულ ლიქიორში შემავალი სპირტისა);

ე) ბუნებრივად ნახევრად მშრალი ღვინის, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინის, ბუნებრივად ტკბილი ღვინის ან აისვაინის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის ან/და რექტიფიცირებული კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის დამატება;



ვ) ღვინის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე საქართვას დამატება, გარდა არომატიზებული ღვინისა, აგრეთვე ცერიალა ღვინისთვის ან/და შუშხუნა ღვინისთვის განკუთვნილი ლიქიორისა;

ზ) ღვინის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ღვინოში ნებისმიერი ბუნებრივი ან სინთეზური არომატის დამატება, გარდა არომატიზებული ღვინისა, რომელშიც დასაშვებია ამ კანონით ნებადართული ბუნებრივი არომატიზატორის გამოყენება;

თ) ღვინის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ღვინოში ნებისმიერი საღებავი ნივთიერების დამატება;

ი) საქართველოში იმპორტირებული ყურძნის, ყურძნის ტკბილის, დურდოს, ყურძნის წვენის, მისტელის, მადუღარი ტკბილის, მადუღარი დურდოს ან მაჭრის გადამუშავება ან გამოყენება ალკოჰოლიანი სასმელის წარმოების მიზნით, ან ასეთი საქონლის შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა;

კ) სხვა ქვეყანაში წარმოებული ღვინის საქართველოში წარმოებულ ღვინოში შერევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის დარღვევა იწვევს შესაბამისი ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის თვისებრიობის შეცვლას.

3. მეღვინეობის პრაქტიკაში ნებადართულია მხოლოდ იმ პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც დადგენილია საქართველოს მთავრობის მიერ.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი VII. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელი, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინო და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელი

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 16. ღვინისა და სპირტიანი სასმელის ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა

1. ღვინის ან სპირტიანი სასმელის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქპატენტში რეგისტრაციის საფუძველზე.

2. ღვინის ან სპირტიანი სასმელის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისთვის საქპატენტში წარდგენილი უნდა იქნეს სააგენტოსთან შეთანხმებული, შესაბამისი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინის ან გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის წარმოების სპეციფიკაცია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშვნულ წარმოების სპეციფიკაციაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;

ბ) ფიზიკური, ქიმიური და ორგანოლეპტიკური მახასიათებლები;

გ) ღვინის, სპირტიანი სასმელის დამზადების სპეციფიკური მეთოდები ან/და შეზღუდვები;

დ) შესაბამისი გეოგრაფიული ადგილის საზღვრები;

ე) 1 ჰექტარ ვენახზე ყურძნის მაქსიმალური მოსავლიანობა და ღვინის მაქსიმალური გამოსავლიანობა;

ვ) ვაზის ჯიში/ჯიშები;

ზ) პროდუქტის განსაკუთრებული ხარისხის, თვისებების ან/და რეპუტაციის კავშირი შესაბამის გეოგრაფიულ ადგილთან;

თ) დამატებითი განსაკუთრებული მახასიათებლები (არსებობის შემთხვევაში);

ი) მაკონტროლებელი ორგანო.

4. საქპატენტში დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინის ან სპირტიანი სასმელის წარმოების სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანა დასაშვებია მხოლოდ სააგენტოსთან შეთანხმებით.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 17. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის კატეგორიის ცვლილება

1. დასაშვებია, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო გადახარისხდეს დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინოდ, თუ იგი აკმაყოფილებს ახალი კატეგორიის ღვინისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

2. დასაშვებია, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელი გადახარისხდეს დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიან სასმელად, თუ იგი აკმაყოფილებს ახალი კატეგორიის სპირტიანი სასმელისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

3. დასაშვებია, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოს, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიან სასმელს, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინოს ან დაცული გეოგრაფიული



აღნიშვნის სპირტიან სასმელს მოქმედს შესაბამისი კატეგორია.

4. ამ მუხლის პირველ, მე-3 და მე-3 პუნქტებში აღნიშვნული კატეგორიის ცვლილება დასაშვებია მეწარმის ინიციატივით ან/და სახელმწიფო კონტროლის საფუძველზე, სააგენტოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 18. დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის წარმოებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

სავალდებულოა, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინის ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის საწარმოებლად გამოყენებული ყურძნის არანაკლებ 85%-ისა მოყვანილი იყოს შესაბამისი გეოგრაფიული აღნიშვნის წარმოების სპეციფიკაციაში მითითებულ გეოგრაფიულ ადგილზე.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი №192-სსმI, №17, 28.07.2008წ., მუხ.121

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 19. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის წარმოება

1. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოებისას დასაშვებია 15%-მდე იმ ყურძნის გამოყენება, რომელიც მოყვანილია მევენახეობის იმავე ზონის სხვა ქვეზონის ან სხვა მიკროზონის ფარგლებში ვაზის იმავე ჯიშისგან ან მევენახეობის შესაბამისი ზონისთვის რეკომენდებული ვაზის იმავე ფერის სხვა ჯიშისგან, თუ ეს არ არის შეზღუდული შესაბამისი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკით.

2. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის წარმოებისას დასაშვებია 15%-მდე იმ სპირტის გამოყენება, რომლებიც მიღებულია მევენახეობის იმავე ზონის სხვა ქვეზონის ან სხვა მიკროზონის ფარგლებში ვაზის იმავე ჯიშისგან ან მევენახეობის შესაბამისი ზონისთვის რეკომენდებული ვაზის იმავე ფერის სხვა ჯიშისგან, თუ ეს არ არის შეზღუდული შესაბამისი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის წარმოების სპეციფიკით.

3. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის შესაბამისი გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში მოყვანილი ყურძნის გადამუშავება და ღვინის ან სპირტიანი სასმელის წარმოება დასაშვებია ამ გეოგრაფიული ადგილის გარეთაც, მაგრამ მხოლოდ საქართველოს ფარგლებში და იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის შეზღუდული შესაბამისი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინის ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის წარმოების სპეციფიკით.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი VIII. (ამოღებულია)

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 20. (ამოღებულია)

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 21. (ამოღებულია)

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი IX. (ამოღებულია)

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 22. (ამოღებულია)

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.



მუხლი 23. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი X. (ამოღებულია)

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 24. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი XI. ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელები

მუხლი 25. სპირტიანი სასმელის კატეგორიები

1. სპირტიანი სასმელის კატეგორიებია:

- ა) ბრენდი;
- ბ) ჭაჭის არაყი;
- გ) მაგარი სასმელი.

2. წარმოშობის ადგილის მიხედვით სპირტიანი სასმელის კატეგორიებია:

- ა) დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელი;
- ბ) დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელი.

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 26

1. საბრენდე ღვინის მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 9,0%-ზე ნაკლები, ხოლო ტიტრული მჟავიანობა – 5 გ/ლ-ზე ნაკლები.

2. საბრენდე სპირტში აქროლადი მჟავების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,8 გ/ლ-ს.

3. საბრენდე სპირტების გამოსახდელად დასაშვებია მხოლოდ საბრენდე ღვინის გამოყენება.

საქართველოს 1998 წლის 30 სექტემბრის კანონი №1604-სსმI, №2, 26.10.1998წ., მუხ.17

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

[მუხლი 26. სპირტიანი სასმელის წარმოებასთან დაკავშირებული შეზღუდვები]

სპირტიანი სასმელის საწარმოებლად ნეიტრალური სპირტის გამოყენება დაუშვებელია. (ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან)]

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 27. ბრენდის წარმოება

1. ბრენდი იწარმოება ღვინის დისტილატის არანაკლებ 6 თვის განმავლობაში მუხის კასრში ან მუხის მერქანთან შეხებისას დავარგებით.

2. ბრენდის სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 37,5%-ზე ნაკლები.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869-სსმI, №21, 18.06.2007წ., მუხ.183

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი №192-სსმI, №17, 28.07.2008წ., მუხ.121

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 28. ჭაჭის არყის წარმოება

1. ჭაჭის არყი იწარმოება დადუღებული, გამოწნებილი ან გამოუწნებავი დურდოს გამოხდით.

2. ჭაჭის არყის სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 29. მაგარი სასმელის წარმოება

1. მაგარი სასმელის წარმოება დასაშვებია მხოლოდ ყურძნისეული წარმოშობის სპირტისგან.

2. მაგარი სასმელის სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 37,5%-ზე ნაკლები.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869- სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ .183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 30. სპირტიანი სასმელის წარმოება

სპირტიანი სასმელის წარმოების ზოგად წესს და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების



თავი XII. პროდუქციის ეტიკეტირება

მუხლი 31. ღვინისა და სპირტიანი სასმელის ეტიკეტირების წესი

1. სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული ღვინისა და სპირტიანი სასმელის ეტიკეტირება სავალდებულოა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ყველა სავალდებულო ინფორმაცია. აღნიშნულ ინფორმაციას შეიძლება დაემატოს ამ კანონით განსაზღვრული სხვა ნებადართული ინფორმაცია.

3. საქართველოში წარმოებული ან საქართველოში იმპორტირებული ალკოჰოლიანი სასმელის ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს შემდეგი სავალდებულო ინფორმაცია:

ა) პროდუქტის დასახელება;

ბ) პროდუქტის ნომინალური მოცულობა;

გ) პროდუქტის ფაქტობრივი სპირტშემცველობა;

დ) დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინის ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის შემთხვევაში – შესაბამისი ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა, აგრეთვე აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელება“ ან „დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა“, რომელიც შეიძლება ჩაანაცვლოს სააგნეტოს მიერ დამტკიცებულმა დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ნიშანმა ან აბრევიატურამ;

ე) სპეციალური ღვინის შემთხვევაში – შესაბამისი კატეგორიის დასახელება;

ვ) პროდუქტის მწარმოებელი ქვეყნის დასახელება;

ზ) პროდუქტის მწარმოებლის დასახელება და მისამართი, ჩამომსხმელის დასახელება და მისამართი, თუ პროდუქტის მწარმოებელი და ჩამომსხმელი სხვადასხვა პირია, ხოლო საქართველოში იმპორტირებული ღვინის ან სპირტიანი სასმელის შემთხვევაში – იმპორტიორის დასახელება და მისამართი;

თ) ლოტის ნომერი;

ი) აღნიშვნა „შეიცავს სულფიტებს“, თუ 1 ლიტრ პროდუქტში სულფიტების შემცველობა 10 მილიგრამს აღემატება.

4. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინის ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის ეტიკეტზე პროდუქტის დასახელება და აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელება“ ან „დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა“ თანამიმდევრულად უნდა იყოს მითითებული.

5. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინის ან დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის ეტიკეტზე მითითებულ ინფორმაციას, მისი განთავსების ფორმის, ზომისა და ადგილის გათვალისწინებით, მომხმარებელი ალკოჰოლიანი სასმელის კატეგორიასთან დაკავშირებით შეცდომაში არ უნდა შეჰქავდეს.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869- სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ .18 3

საქართველოს 2011 წლის 19 აპრილის კანონი №4550 - ვებგვერდი, 05.05.2011წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 32. ღვინისა და სპირტიანი სასმელის ეტიკეტებზე ნებადართული ინფორმაცია

1. ნებადართულია, ღვინისა და სპირტიანი სასმელის ეტიკეტებზე მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სასაქონლო (სავაჭრო) ნიშანი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ვაზის ჯიშის/ჯიშების დასახელება, თუ პროდუქტი წარმოებულია ვაზის აღნიშნული ჯიშის/ჯიშების ყურძნის არანაკლებ 85%-ის გამოყენებით;

გ) ღვინის შემთხვევაში – მოსავლის წელი, თუ ღვინის არანაკლებ 85% წარმოებულია აღნიშნულ წელს მოყვანილი ყურძნისგან;

დ) ამ კანონით გათვალისწინებული ღვინის/სპირტიანი სასმელის ფერის, შაქრიანობის, დამზადების მეთოდის მიხედვით განსაზღვრული კატეგორიის დასახელებები;

ე) ქართული ღვინის შემთხვევაში – აღნიშვნა „ქართული ღვინი“;

ვ) ცქრიალა ღვინის შემთხვევაში – აღნიშვნა „ტრადიციული მეთოდი“, თუ ცქრიალა ღვინო ბოთლური მეთოდითაა წარმოებული;

ზ) ღვინის შემთხვევაში – აღნიშვნა ხის კასრში დადუღების ან/და დავარგების თაობაზე, თუ ღვინო ხის კასრში დადუღდა ან/და დავარგდა;

თ) ბრენდის შემთხვევაში – აღნიშვნა „ქართული ბრენდი“, თუ ბრენდის საწარმოებლად გამოყენებული



სპირტის არანაკლებ 85%-ს შეადგენს საქართველოში მოყვანილი ყურძნისგან დამზადებული სპირტი; (ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან)

ი) ბრენდის შემთხვევაში – ბრენდის ასაკი ან დავარგების მიხედვით დადგენილი კატეგორიის დასახელება ან შესაბამისი კატეგორიისთვის დადგენილი აღნიშვნები;

კ) სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მომხმარებელს პროდუქტის თვისებრიობასთან, წარმოშობის ადგილთან, მოსავლის წელთან, მწარმოებელთან, ტიპთან, სტილთან ან/და სხვა მახასიათებელთან დაკავშირებით შეცდომაში არ შეიყვანს.

2. დასაშვებია, ექსპორტისთვის განკუთვნილი ღვინისა და სპირტიანი სასმელის ეტიკეტებზე მიეთითოს დამატებითი ინფორმაცია იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის ან იმპორტიორის მოთხოვნის შესაბამისად. საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117
საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 33. ღვინისა და სპირტიანი სასმელის ეტიკეტებზე სავალდებულო ინფორმაციის მითითების წესი

1. საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ღვინისა და სპირტიანი სასმელის ეტიკეტებზე ამ კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „დ“–„ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს ქართულ ენაზე ან ქართულ და უცხოურ ენებზე.

2. ღვინისა და სპირტიანი სასმელის ეტიკეტებზე პროდუქტის დასახელება, ნომინალური მოცულობა, ფაქტობრივი სპირტშემცველობა და მწარმოებელი ქვეყნის დასახელება მითითებული უნდა იქნეს მხედველობის ერთ არეში.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869- სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 33¹. პასუხისმგებლობა ეტიკეტირების წესის დარღვევისათვის

ამ კანონის 31-ე, 32-ე ან/და 33-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევა იწვევს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74¹ მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869- სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი XII¹. ალკოჰოლიანი სასმელისა და სპირტის სერტიფიცირება

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 33². ალკოჰოლიანი სასმელისა და სპირტის სერტიფიცირება

1. ალკოჰოლიანი სასმელისა და სპირტის სერტიფიცირება არის სავალდებულო ან ნებაყოფლობითი.

2. სავალდებულო სერტიფიცირებას ქვემდებარება:

ა) საქართველოში წარმოებული და სამომხმარებლო ბაზარზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო და დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელი;

ბ) ყველა კატეგორიის საექსპორტო ალკოჰოლიანი სასმელი და სპირტი (გარდა საექსპორტო ნიმუშებისა, თუ ნიმუში დაფასოებულია 5 ლიტრზე ნაკლები ტევადობის ტარაში და ერთ ჯერზე გასაგზავნი ნიმუშების საერთო მოცულობა 100 ლიტრს არ აღემატება);

გ) იმპორტირებული ალკოჰოლიანი სასმელის თითოეული პარტია (გარდა „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტისა, აგრეთვე იმპორტირებული ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშისა, თუ ნიმუში დაფასოებულია 5 ლიტრზე ნაკლები ტევადობის ტარაში და ერთ ჯერზე შემოსატანი ნიმუშების საერთო მოცულობა 100 ლიტრს არ აღემატება).

3. საქართველოში წარმოებული და საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელისა) სერტიფიცირება ნებაყოფლობითია. ამ შემთხვევაში სავალდებულოა აკრედიტებული ლაბორატორიის გამოცდის ოქმის საფუძველზე ღვინის კომპანიის მიერ შედგენილი შესაბამისობის დეკლარაცია. შესაბამისობის დეკლარაციის ფორმას ადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

4. სავალდებულოა საქართველოში წარმოებული დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ალკოჰოლიანი სასმელისა და საექსპორტოდ განკუთვნილი ჭილა კატეგორიის ღვინის ორგანოლეპტიკური შემოწმება, რომელსაც ახორციელებს სააგენტოსთან არსებული მუდმივმოქმედი საფუგუსტავო კომისია.



5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ სახლის ღვინოზე, რომელშიც გოგირდის დიოქსიდის საერთო შემცველობა 40 მგ/ლ-ს, ხოლო 1 ლოტის ნომრით ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა – 3000-ს არ აღემატება. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]

6. შესაბამისობის სერტიფიკატის მიღების აუცილებელი პირობაა მწარმოებლის მიერ აღრიცხვისა და შეტყობინების წესების დაცვა ამ კანონის შესაბამისად.

7. ალკოჰოლიანი სასმელისა და სპირტის შესაბამისობის სერტიფიკატებს გასცემს სააგენტო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

8. სერტიფიცირების პროცესში ალკოჰოლიანი სასმელის ან სპირტის ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების დადგენის და შესაბამისი გამოცდის ოქმის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნული ან საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საგამოცდო ლაბორატორიას.

9. შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის ვადა და საფასური განისაზღვრება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

10. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით დადგენილი წესების დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869- სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ .18 3

საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4145-სსმI, №76, 29.12.2010წ., მუხ.517

საქართველოს 2011 წლის 19 აპრილის კანონი №4550 - ვებგვერდი, 05.05.2011წ.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი XII². ალკოჰოლიანი სასმელის სამომხმარებლო ბაზარზე განთავსება, ექსპორტი, იმპორტი

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 33³. ალკოჰოლიანი სასმელის სამომხმარებლო ბაზარზე განთავსება

1. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის სამომხმარებლო ბაზარზე განთავსება დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

2. ნებისმიერი კატეგორიის სპირტიანი სასმელის სამომხმარებლო ბაზარზე განთავსება დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

3. ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი სახით ღვინის რეალიზაციის განმახორციელებელი პირი ვალდებულია იქონიოს ამ ღვინის შესაბამისობის სერტიფიკატი ან შესაბამისობის დეკლარაცია.

4. ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინის რეალიზაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

5. ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით დადგენილი წესების დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.

საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი №4407 - ვებგვერდი, 03.11.2015წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 33⁴. ალკოჰოლიანი სასმელისა და სპირტის ექსპორტი და იმპორტი

1. ღვინის ექსპორტი დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

2. ალკოჰოლიანი სასმელის ან სპირტის ექსპორტის დროს წარმოშობის სერტიფიკატს გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად სააგენტოს მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

3. საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელის ან სპირტის იმპორტი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ საჭიროებს დამატებით გადამუშავებას, დაფასოებულია სამომხმარებლო ტარაში და განკუთვნილია უშუალო მოხმარებისთვის.

4. საქართველოში დროებით შემოტანილი ღვინის შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა დაუშენებელია.

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი XII³. ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესები

საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 33⁵. ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესები



1. ღვინის კომპანია ვალდებულია აღრიცხოს ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტის, ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესები და სააგნტოს დადგენილ ვადებში წარუდგინოს სავალდებულო შეტყობინებები.

2. ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების თაობაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება იმ ღვინის მწარმოებელზე, რომლის მიერ წარმოებული ღვინის რეალიზაცია წელიწადში ჯამურად 1500 ლიტრს არ აღემატება.

3. მევნახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესსა და ფორმებს, აგრეთვე შესაბამისი პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვის, დამუშავებისა და ჩამოსხმის დროს ტექნოლოგიური და ბუნებრივი დანაკარგების ზღვრულ ოდენობებს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

4. პროდუქციის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს 2002 წლის 4 ივნისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869- სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ .18 3

საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4145-სსმI, №76, 29.12.2010წ., მუხ.517

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი XII⁴. გარდამავალი დებულებანი

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869- სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ .18 3

საქართველოს 2002 წლის 4 ივნისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117

მუხლი 33⁶. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი დონისძიებები

1. საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება:

ა) ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ;

ბ) ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ;

გ) ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოების ზოგადი წესის განსაზღვრის შესახებ.

1¹. საქართველოს მთავრობამ არა უგვიანეს 2011 წლის 1 თებერვლისა მიიღოს დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის – „სამტრესტის“ მიერ გაწეული მომსახურების ვადისა და საფასურის შესახებ“.

1². საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2019 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება:

ა) დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის წარმოების სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის განსაზღვრის შესახებ;

ბ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის, ყურძნისეული წარმოშობის სპირტის, ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის განსაზღვრის შესახებ;

გ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის განსაზღვრის შესახებ;

დ) ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის განსაზღვრის შესახებ;

ე) მევნახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესის განსაზღვრის შესახებ;

ვ) საქართველოს მევნახეობის ზონებისა და მევნახეობის ქვეზონების საზღვრების, ნებადართული ვაზის ჯიშების, აგრეთვე ამ ზონებისა და ქვეზონების მიხედვით რეკომენდებული ვაზის ჯიშების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ;

ზ) ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინის რეალიზაციის წესი;

თ) მევნახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური და ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

2. (ამოღებულია).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტების ამოქმედებამდე ძალაშია ღვინის მრეწველობაში არსებული ტექნოლოგიური ინსტრუქციები, წესები და ნორმატივები.

4. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის ამ კანონთან შესაბამისობა.

საქართველოს 2002 წლის 4 ივნისის კანონი №1635-სსმI, №23, 24.07.2002წ., მუხ.117



საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869- სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ. 183
საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი №192-სსმI, №17, 28.07.2008წ., მუხ.121
საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4145-სსმI, №76, 29.12.2010წ., მუხ.517
საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 - ვებგვერდი, 01.12.2011წ.
საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი XIII. დასკვნითი დებულებანი

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869- სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ .183

მუხლი 34. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის 33^2 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2007 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს 2005 წლის 5 ივნისის კანონი №4869 -სსმ I, №21, 18.06.2007 წ., მუხ .183

საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №972 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს პრეზიდენტი

თბილისი,

1998 წლის 12 ივნისი.

№1438-IIIს

ედუარდ შევარდნაძე

